

და* კავშირი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, ერთი მხრით, და, საერთოდ, რუსთველური შაირით დაწერილ ყველა ნაწარმოებში, მეორე მხრით, კატრენის მეოთხე ტაეპის წინ მოიპოვება კავშირი და. **გვე** და გეხვდება ორტაეპიან ლექსებშიც, მრჩობლედში, მეორე სტრიქონის წინ და ზოგჯერ, უფრო მოგვიანოდ, ცალკე ლექსების უკანასკნელი სტრიქონის ან ორი-სამი უკანასკნელი სტრიქონის წინ, ან კიდევ თხზულების ცალკე თავების დამასრულებელ ბოლო სტროფში (ამგვარი წესით ხმარობს ამ და კავშირს, მაგალითად, დავით გურამიშვილი ზოგ პატარა ზომის ლექსში).

ამ და-ს ძველ საქართველოში კარგად განასხვავებდნენ ჩვეულებრივი და კავშირისაგან, რომელიც სიტყვათა თუ წინადადებათა დასაკავშირებლად, შესაერთებლადაა გამოყენებული. წერისას და კავშირის შემადგენელ **დ** და **ა** ასოებს ერთმანეთის გვერდით წერდნენ, ხოლო ლექსში ბოლოსწინა ტაეპის და კავშირში **ა-ნი** და **დ-ონის** თავზეა დასმული. ასეა, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ხელნაწერებში, კერძოდ **H-757-სა** და **H-54-ში**, რომლებიც **XVII** საუკუნეშია გადაწერილი, და, საერთოდ, ყველგან. ამ და-ს განსხვავებული ფუნქცია, როგორც ჩანს, ცნობილი ყოფილა არჩილ მეფისათვის, რომელიც ასე წერდა:

არა ყველა ერთ-წამიან, რაზომ იყოს ვინ სვიანი
დიდი მეფე, ბრძენი სრული, მოწყალე და სულ-გვიანი,
მთავარი და დიდ-შემძლენი, ვინ გლახაკნი უსავანი,
ხელოვანი უცთურ-მწერი, ვინ დონზღღა დახვა ანი.

დონზე ანის დასმა „უცთურმწერ ხელოვანთა“ თვისებაა, არჩილის თანახმად.

ეს განსხვავება აგრეთვე, ნათელი ყოფილა სულხან-საბა ორბელიანისათვის, რომელიც თავის სიტყვის კონას წამძღვარებულ „ყრმათა სსსწავლო ანბანის“ დახასიათებაში წერდა: „და — ესე სიტყვათა

* ტექნიკური მიზეზის გამო და სიტყვის სხვადასხვა დაწერილობის გასამიჯნავად დონის თავზე დასმული ანის შემცველ ვარიანტს გამოვხატავთ დახრილი შრიფტით (და).

შემაერთებელი არს და ცალკე ასოა... თუცა დონს ასო ზედით აბია, შემკვრელი ასო არს. და თუცა დონსა ანი გვერდით უზის, სიტყვისა შემწე არს“-ო!

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემელსა და კომენტატორს ვახტანგ VI-ს თავის „თარგმანში“ ამ და-ს შესახებ არაფერი უთქვამს, ხოლო პოემის ტექსტში და დაბეჭდა და ისე, რომ „დონზე ანი დას-ვა“: საამისოდ სპეციალურად ლიგატურა დაუმზადებინებიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ის განსხვავება, რასაც სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავდა, არ გაუთვალისწინებიათ და ამგვარი ლიგატურით დაუბეჭდავთ ყოველი და კავშირი ტექსტშიც, მათ შორის ცალკე სიტყვებშიც შემავალი და მარტვალიც (მაგალითად, და პრევერბი).

წემდგომს გამოცემებში და იბეჭდებოდა; ტრადიცია დაარღვია 1888 წლის გამოცემამ, რომლის რედაქტორებმა და უარყვეს. შემდგომ კი ზოგი გამოცემელი ბეჭდავდა ამ და-ს (მაგალითად, ს. კაკაბაძე და იუსტ. აბულაძე — „დონზე ანის დასმით“), ზოგი — არა (დ. კარიჭაშვილი, კ. ჭიჭინაძე, პ. ინგოროყვა). 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში და აღადგინეს და ამ გამოცემისაგან მომდინარე ყველა გამოცემაში ისევ დამკვიდრდა ძველი ტრადიცია. 1966 წლის იუბილეს დღეებში და ისევ უკუაგდეს გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქტორობით დაბეჭდილ ტექსტში, მაგრამ დარჩა ოფიციალურ საიუბილეო გამოცემაში. და კავშირი დატოვებულია აგრეთვე ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში. უკანასკნელად გამოსულ მდიდრულ გამოცემაში და ისევ უკუაგდებულია.

„ვეფხისტყაოსნის“ გარდა, რუსთველური შაირით დაწერილია არაერთი ნაწარმოები და გამოქვეყნებულია კიდევ (თეიმურაზ I-ის, არჩილის თხზულებები, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები...), და კავშირი ამათ ხელნაწერებშიაც არის გამოყენებული, გამოქვეყნებულ ტექსტებშიც დაცულია (მაგალითად, „შაჰნამეს“ სამივე წიგნში, ოღონდ პირველსა და მესამე წიგნებში დონს ანი გვერდით უზის, ხოლო მეორე წიგნში მის თავზეა დასმული).

და-ს ამოღება პოემის ტექსტიდან დავით რექტორისაგან მომდინარეობს. პოემის მის მიერ გადაწერილ ხელნაწერში, რომელიც ე. წ. არტანუჯული რედაქციის ხელნაწერთა წყაროდაა მიჩნეული რუსთველოლოგიაში, და კავშირი არაა ნახმარი.

ამასთან ერთად, როგორც ეს ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან, და კავშირის ხმარების მიზანშეწონილობას უარყოფდა თავის დროზე გ. ავალიშვილიც, მაგრამ მისი სიტყვებიდან შიანიც ჩანს,

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1864, გვ. XV11.

მომდინარეობის შესახებ, — იმის შესახებ, რომ იგი ხელოვნურად არ შეიძლება იყოს დანერგილი ქართულ მწერლობაში საუკუნეთა განმავლობაში.

ყოველივე ამის გამო საჭირო ჩანს, ერთხელ კიდევ გასინჯულ იქნეს ის მასალა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია ხალხური შემოქმედების სახით, გასინჯულ იქნეს სწორედ ამ საკითხის თვალსაზრისით და გამოვლენილ იქნეს სათანადო ფაქტები და ლექსიკური მასალა, რომელიც ასე თუ ისე ნათელს მოჰფენდა საძიებელ საკითხს და ერთგვარად წინ წასწევდა მის კვლევას. ჩვენი აზრით, ასეთი შესაძლებლობა არსებობს.

ხალხური პოეზიის მასალის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ნიმუშებს, რომლებიც დიდი არქაულობით ხასიათდებიან, ძველ ვითარებას გადმოსცემენ. ასეთი ხასიათისაა, პირველ რიგში, ხევსურული მთიბლური სიმღერა — გვრინი.

1931 წელს აკაკი შანიძემ გამოსცა „ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი, რომელშიც ხევსურული ხალხური პოეზიის ნიმუშები შევიდა. მკვლევრის ყურადღება მიიქცია იმ სიმღერების ტექსტმა, რომლებიც თიბვის დროს სრულდება, ე. წ. მთიბლურმა სიმღერებმა. ყურადღება მიიქცია ამ სიმღერების ფორმამ, რაც სრულ კონტრასტს წარმოადგენს სხვა სიმღერა-ლექსებისას, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური შაირის ზომით არიან დაწერილი. მთიბლური ლექსის მუხლი ცხრამარცვლიანია. „მთიბლურ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა, რაც ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მეტრიკის ისტორიისათვის“, — დაასკვნია აკაკი შანიძე.

თუმცა მაშინვე იყო შენიშნული, რომ მთიბლურ ლექსებში გვხვდება ისეთები, რომელთა შინაარსიც მკვდრის დატირის წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ შემდგომ გამახვილდა ყურადღება უკვე ეთნოგრაფების მიერ (გ. ჩიტაია, თ. თჩიაური) იმ გარემოებაზე, რომ თიბვის დროს ძირითადად ე. წ. „ხმით ნატირლები“ სრულდებოდა.

„ხევსურულ მიცვალებულის კულტში, — წერდა გ. ჩიტაია, — დატირება რთული სახის მოქმედებას წარმოადგენს: აქ მიცვალებულს სტიროდნენ „მუნჯად“ და ხმით. ხმით ტირილი სამგვარი სახისა იყო: „მოთვლით“, „ძახილით“ და „კმით“.

7 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 021—022.

8 თ. თჩიაური, ხევსურული მთიბლური სიმღერა — გვრინი: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. II, 1951.

ხმით მოტირალი ტირილის დროს თხზავდა ლექსებს. მოტირალი მგრძნობიარე ლექსით აღწერდა მიცვალებულის წარსულ ცხოვრებას და ნამოქმედარს. კარგ წატირლებს ხალხი ზეპირად სწავლობდა, ის თაობიდან თაობაში გადადიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ქალების მიერ შეთხზულ „ხმით ნატირლებს“ თიბვის დროს მღეროდნენ „გვრინში“. „გვრინი“ მიცვალებულთა მოვონების ერთ-ერთი სახე იყო“⁸.

მოვიყვანთ „ხმით ნატირლის“ ერთ ნიმუშს.

შარმანაულზე ნატირალი

შარმანაულო შევარდენო
 მთიბელნი გიხარიანაეო
 მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო
 დუმას ზისცვარში ხარშავდაეო
 ბევრაის ჭიკვის გამგორესაო
 თოფსა გირიმსა ზიდავდაეო
 მტრისა ბევრაის გამჭავრესაო
 წელსა ფრანგულსა იბამდაეო
 სტუმრის ბევრაის მსახურსაო
 ტყავსა ქეშხითა ხერავდაეო
 ბევრაის მტრისა გამრიგესაო
 ენასა მბჭეჩი ზიდავდაეო.

მთიბელი გიგა

მთიბელი ვინ იყვა ისეთაიო
 გიგა რომ იყო ვიგაურიო
 შვიდი მტკაველი ხქონდა ცელიო
 შვიდი მტკაველი სალესველიო
 შვიდნი თივანი დაეთიბნესო
 სადილობამდენ ვიგაურსაო.

ჩვენი მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, „ხმით ნატირლები“ მისი ფორმითა და მის სტრიქონთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისითაა მხოლოდ საინტერესო. ლექსი ცხრამარცვლიანია, ურიტმო, სტროფებად დაუყოფელი. ყოველი სტრიქონის ბოლოს დართულია სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი, რომელიც, რა თქმა უნდა, მარცვალთა სათვალავში არ შედის, და რომელიც ხაზს უსვამს სტრიქონების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის ფაქტს: თითოეული სტრიქონი ცალკე დამოუკიდებელ ლექსს წარმოადგენს, ერთი ლექსია, თუმცა

⁸ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, თბ., 1940, გ. ჩიტა-იას წინასიტყვაობა, გვ. XII—XIII.

მთელი. „ხმით ნატირალის“ შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ შეიძლება ორი ან სამი სტრიქონი ერთი რთული თუ სხვა ტიპის წინადადების ნაწილებს წარმოადგენდნენ (აქ ძალაუვნებურად მოგვაგონდება ალბათ ერთი გავრცელებული თვალსაზრისთაგანი, რომლის მიხედვითაც „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში თანაბარღირებულებიანი ელემენტები შეიძლება იყოს გაერთიანებული და კავშირით).

ლექსის აგებულების თვალსაზრისით „ხმით ნატირლისაგან“ განსხვავდებიან „ძახილით ნატირლები“ და „დათვლით ნატირლები“, რამდენადაც ამ უკანასკნელებში ზოგჯერ დარღვეულია ცხრამარცვლიანობა, ოღონდ სტრიქონთა შორის ურთიერთობა ისეთივეა დატული, როგორც „ხმით ნატირლებში“. ამასთან, სტრიქონთა დამთავრება შეიძლება ო ნაწილაკით კი არ გამოიხატოს, არამედ სხვა საშუალებით, ვთქვათ. მიმართვის სიტყვებით დასატირალი პირისადმი:

რაცელ თიბის შამშაბათი გაქვ, ძმაო,
სხვან სათიბად ემზადებიან, ძმაო,
შენ ცოლ უბატრონი ას, ძმაო,
მიწა შენსა დასა, ძმაო...

რად არას შამშობ, სამძიმარ ჩემო,
რაცე დაწუხებულები ორო, სამძიმარ ჩემო,
იქვე აოდავ ხარა, სამძიმარ ჩემო?
გაქვთა რა მიდენ-მოდენა, სამძიმარ ჩემო?

„დათვლით ტირილიც“ ამგვარივეა:

ვატირათ უკენობისადა, ძილოო,
ძილო, ჭირიმე ძილოსაი, ძილოო,
მზიასაც წავილაღავთ შინა, ძილოო
სახლნია გავიქრობთა ცეცხლსა, ძილოო.
შამამბრუნავჩი სატანებნო, ძილოო,
უნაწილოჩი სატანებნო, ძილოო.

„დათვლით ტირილი“ ხმით ტირილის ერთ-ერთი სახეა. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს ტერმინს **დათვლას**, რომელიც, გარდა ამ შემთხვევისა, სხვა შემთხვევებშიც გვხვდება და, ამასთან, გარდა ხევსურულისა — ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, საერთოდ, მთის კილოებში, სხვაგანაც. **დათვლის** ვარიანტია **თვალვა**. ამ ფუძის შემცველი არაერთი ფორმა გვხვდება:

კადიობას დავიწყებ, ვთვალა რომენიც მინდაო; ამაგის მალექსებელი სრუ ლად-ნებიერთ თ ვა ლ ა ვ ს ა; ორივე საქებაარა, ქებას მეც იმით ვ თ ვ ა ლ ა ო;

გვესურ ჩაჩია-ლ ასტყდება, მეკვემურობას თვლისაო; ლექს ვიცი ერთის ქალის ნათვალა; როდის შიშლის გავაი თვალვასა ლექსებისასა; ე, ჩემი ბეჯანი, ეგრე, ეგრეაო — მასთვალა; დედა ასე დაუთვალავდა: დედო, რაველ დილა გამოთენდა ღღეს, დედო; რუსეთში ქრისტეს წუხარასა დავჯე, ლექსები ვთვალეო; დინის მაგაშლეე ომაო, ამლას ლექსების თვალვასა; თაოდაც კი რუსეთში ვარ ამაგ ლექსის ჩამომთვლელი; კავიათბას დავიწყებ, ვთვალავ, რამდენიც მინდაო; ახლა დაგიითვლის კატოზაის შვილიო; თუ რას მოლექსეს იკითხავთ, ქვე-ქვეუბნელამ დათვალა და მრავალი სხვა.

დათვლა, თვალვა ტერმინის მნიშვნელობა ამჟამად გაფართოებულია: **დათვლის, ჩამოთვლის** ძირითადი მნიშვნელობა მას შენარჩუნებული აქვს, მაგრამ ამასთან ერთად თხრობას, თქმას, მოყოლას აღნიშნავს, თუმცა ეს კია, რომ მას ასეთი მნიშვნელობა იმთავითვე უნდა ჰქონოდა.

ტერმინი **დათვლა, თვალვა** დადასტურებულია ქართლურშიც, კავთისხევ-წინარეხის უბანში:

ქმეღაშვილი ვანუა ლექსების გაამთქმელი,
ლექსებს დაგიითვლის იგეთსა, დიღმი მინდორზე გრძელია.

ამასთან, ამ ფუძისაგან ნაწარმოები ერთი სიტყვა დადასტურებულია ვუკ. ბერიძის „სიტყვის კონაში“ იმერულ და რაჭულ თქმათა; ესაა **მოსათვალავი**: „სიმღერა რა ყაიდაზე უნდა, ქე ვიცი, მარა **მოსათვალავი** დამევიწყდა“⁹. **მოსათვალავი** აქ სიმღერის ტექსტს აღნიშნავს. გარდა ამისა, ხევსურული „დათვლით ტირილის“, „თვალვის“ ვარიანტული სახეობა დადასტურებულია სამეგრელოში, იქ მას **თუალუა**-ს ეძახიან, რაც **მოთქმას** ნიშნავს. აქედან არის ტერმინები **მათუალარი** — მომთქმელი, **ნათუალა** — მონათქვამი („მუ ჭგირი რდუ ეთი ოსურში ნათუალა“ = რა კარგი იყო იმ ქალის მონათქვამი“). **თვალუა, გე-თვალუა** დადასტურებულია ი. ყიფშიძის მეგრულის გრამატიკას დართულ ტექსტებსა და ლექსიკონში¹⁰, მ. ხუბუას მეგრულ ტექსტებში¹¹, დადასტურებული აქვს თედო სახოკიას თავის ცნობილ ეთნოგრაფიულ ნარკვევში „მიცვალეზულის კულტი სამეგრელოში“¹², დადასტურებულია თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში:

⁹ გ. უკ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912.

¹⁰ И. Книшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка; Материалы по фетическому языковедению, С.-П., 1919, გვ. 242.

¹¹ მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

¹² თ. სახოკია, მიცვალეზულის კულტი სამეგრელოში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IV, თბ., 1940.

ტავუ... ალუჩის ძირს ბალახებში ჩაჯდა და ნანინასავით გააბა თვალუა (ნ. წულუცაძე) კუბოს შავოსანი ქალები დასტიროდნენ, მოზარეებს წივილ-კივილით აძლევდნენ ბანს, ამას მოთქმა — „თვალუა“ მოსდევდა (მ. გვას.).

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ტერმინები დათვლა, თვალუა მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ხოლო ამჟამად მთის კილოებშია აქტიურად შემონახული.

ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც დადასტურდა ჩვენი უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, ამჟამად დუშეთის რაიონის სოფ. ხორხის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლის თებრო გოგოლაურის მიერ ხორხის ხეობაში, გომეწარსა და ხეობაში შეკრებილ ფშაურ ლექსებში.

თანამედროვე ფშაურ ხალხურ ლექსში სტროფი აჩსებითად შესტადაა ჩამოყალიბებული, დაცული არაა თანაზომიერი სტროფების რეგულარული მონაცვლეობა. ლექსის სტრიქონები რვა მარცვლიანია და ისინი წყვილ-წყვილად გაერთიანების მიდრეკილებას იჩენენ აზრობრივ-შინაარსობრივად, ე. ი. ლექსის გათქვესმეტმარცვლიანების მიდრეკილება ჩანს, მაგრამ ფორმალურად რვა მარცვლიანი სტრიქონებია გამოყოფილი ერთმანეთისაგან: თითოეული რვა მარცვლიანი სტრიქონის შემდეგ სხვათა სიტყვის ო დაისმის. ასეა, კერძოდ, ზემოთ ნახსენებ ყველა ფშაურ ლექსში (ე. ი. იმის მსგავსი მდგომარეობაა ამ მხრივ, როგორც ხევსურულ „ხმით ნატირლებში“ იყო). ამრიგად, ამ ფშაურ ლექსებში ფორმის თვალსაზრისით ძველი ვითარებაა შემორჩენილი.

შვიდ ქისტი, მერვე ფშაველი,
გავიდეს მუქარაზედაო,
შვიდთ მურკვლივ შამაუარაო,
ცურავდეს სისხლის ტბაზედაო.

საჭიროა მოვიგონოთ ფშაურში არსებული ერთი მოვლენაც: დაკავშირს ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი ა და უმეტესად იმ შემთხვევაში, თუ წინამავალ სიტყვას უერთდება. ხშირად ამ მოვლენას მაშინაც აქვს ადგილი, როცა წინამავალი სიტყვა თანხმოვნითაა დაბოლოებული:

აქვ მოსვლა უნდოდ-დ' ქალემ არა ქნეს; გამოქშათ, დიდ ქირმა-დ' სიკვილემ გაგაწყალნესთ; შავილოდენ ეკლესიაშია-დ' ღვდელ დასწერდა ჯვარსა; ეჯიფმ ბატარა ვაჟას უნდა დასცას ჯელი-დ' ბატარძალს კალთაჩი ჩაუსვას.

ასეა ჩვეულებრივი თხრობისას, ასევეა ლექსებშიც:

სუ კარგად გიცნობთ ეფრემო,
იცის თქვენ სახლი-დ' კარიო

დადიხართ მშიერეები,
ძროხა არა გყავთ, ცხვარიო,
ნეძიხელუბის საჯეროო
კაკალიდ' ნამყენ სხალიაო.

ეს და ან მისი ნაშთი დ სტრიქონს შიგნითაა მოქცეული, რვა-
მარცვლიან სტრიქონში შედის, მაგრამ ამ ლექსებში გვხვდება ისეთი
შემთხვევები, როცა და კავშირი გვაქვს სტროფის მეორე ან მესამე
სტრიქონის შემდეგ, მაგრამ იგი შეუმჩნეველი რჩება, რადგანაც
ბოლოკიდური ა მოკვეცილი აქვს და დ თანხმოვანი კი შეერთებუ-
ლია წინა სიტყვასთან. იმ შემთხვევაში, როცა ეს დ' გვხვდება მესამე
სტრიქონის შემდეგ, სტროფი რვა მარცვლიან კატრენადაა გაგებულ-
ხოლო, როცა დ' მეორე სტრიქონის ბოლოს გვხვდება, თექვსმეტ-
მარცვლიანად ქცევის მიდრეკილებას ამჟღავნებს:

შენც მალე გამოგვლევო
ქერჩოს ნაზიდნებ თავ-მხრებიო-დ'
ლაშარით დაპარულებით
ჯვარ-გუმბათები, თასებით.

ვაჰკვირან ვშირსა წვიმასაო,
ადიდებასა წყლისასაო,
ვშირ-ვშირად ელვის სროლასაო და
ქექა-ქუჩილსა ცისასაო.

მთაწმინდის ტოშის ტყრიალიო,
ნეტარ, რამ გააძრიელო,
ქალებთან ყოფნა მეწადის და
ტოშ-თამაშობა კი არაო.

დეგებ შაგასწვრას კიდენაო
თავის ცხვრის დოლობასაო,
სოველჩი ყანების მომკახსაო-დ'
სხვას გაზაფხულზე ვნვასაო.

ჩაიდვა ალიკუდამაო,
რაც შაუძლიან, მუშტავსაო-დ'
უთხარით ალიკუდასაო,
მა კვეისბრის ცოლს ნუ ჰკლავსაო.

მე ჯერ არ გამიგონავისო
ხატში წაყვანა ვირისაო.
შამოჯდა საჯარეჩიაო-დ'
სისკარ მეგონა დილისაო.

„ხმით ნატირლების“ შედგენილობა, როცა თითოეული სტრი-
ქონი აგრეთვე ცალკეა წარმოდგენილი და თითოეულ მათგანს სხვა-

თა სიტყვის **ო** დაერთვის, ხსნის ტერმინის **ლექსის დათვლის** მნიშვნელობას. ეს ჩანს გადმონაშთი იმ დროისა, როცა ლექსები სტრიქონების (ე. ი. ლექსის) მართლაც დათვლა ხდებოდა. ერთ-ერთი საშუალებათაგანია ფშაურ-ხევსურულში დადასტურებული სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ო**, რაც ალბათ სტრიქონის დასრულებას აღნიშნავდა ძველად. შემდეგ, როცა სტრიქონთა დაჯგუფება მოხდა აზრობრივ-შინაარსობრივად და რითმა გაჩნდა, ე. ი. სტროფები გაჩნდა, გამოყენებულ იქნა და კავშირიც. ოთხსტრიქონიან სტროფში (კატრენში), ბუნებრივია, იგი მესამე სტრიქონის ბოლოს და მეოთხის წინ მოხვდა, მრჩობლედში (ორსტრიქონიან ლექსში) — პირველი სტრიქონის ბოლოს და მეორის წინ, ხოლო შაირისაგან განსხვავებული სხვა საზომების შემოღების შემდეგ მისი ადგილი ლექსის ბოლოსტრიქონის წინ აღმოჩნდა. სტროფობრივი დაყოფა ქართული ლექსისა, ერთი მხრით, და რითმის გაბატონება, მეორე მხრით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნასა და განვითარებას უკავშირდება, ხოლო ყველაფერი ეს ხაზს უსვამს ხალხურის როლს ახალი სალიტერატურო ენის წარმოქმნაში.

ფშაურ-ხევსურულ სინამდვილეში ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეუღლებელად არაა შემონახული, დღევანდელი სურათი მრავალგვარი ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს. შემდგომი დანაშრევებისაგან მისი გაწმენდა მომავლის საქმეა. მაინც შემთხვევითი არაა, რომ რუსთველურის მსგავსი და და **დათვლა-თვალვა** ტერმინები მთისკილოებშია დაცული. ეს კილოები ყველაზე ნაკლებ განიცდიდნენ სალიტერატურო ქართულის გავლენას და მორფოლოგიურ-სინტაქსური არქაიზმების გვერდით ამ კილოებს შემოუნახავთ ქართული ლექსის უძველესი ფორმაც.

ამის მიხედვით სწორი ჩანს ის აზრი, რომ და კავშირი „ვეფხისტყაოსანში“ ხელოვნური წარმონაქმნი არ უნდა იყოს და პოემის გამოცემებში იგი უნდა იბეჭდებოდეს, ოღონდ **დ-ონზე** დასამულიანის სახით.